იდეალებთან ახლოს...

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 1 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) - ცსკა: 3:0 (3:0).

ცსკა: ბაუჟა, პონომარიოვი, შესტერნევი, შებლიაკოვი, სემიგლაზოვი, მანოშინი, ბასალიკი, აპუხტინი, პოლიკარპოვი, დენისოვი, კაშტანოვი (ფედოტოვი).

“დინამო”: ლეჟავა, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, იამანიძე, მეტრეველი, აფშევი, ბარქაია, გ. სიჭინავა, მესხი.

მსაჯი: მ. რუბენისი (რიგა).

ფეხბურთში ძნელია იდეალის დადგენა. აქ ბევრი რამ შედარებითია, ბევრი რამ შექმნილი მომენტის შესაბამისად ხდება, მაგრამ გუშინდელი მატჩის პირველი ნახევრის შესახებ გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ: თბილისელთა თამაში ძალზე ახლოს იდგა იდეალთან. ბრაზილიური სისტემა, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ სპეციალისტები, შესანიშნავად იქნა წარმოდგენილი დინამოელთა მიერ. ცალკეული მოთამაშეების ინდივიდუალური შესრულება, სხვადასხვა რგოლების ურთიერთმოქმედება საუკეთესო კოლექტივიზმის პრინციპებზე იყო აგებული და თვითეული კომბინაცია, ცალკეული ეპიზოდები ხორციელდებოდა მაქსიმალურ ტემპში, ზუსტად, ამასთან უმაღლეს ტექნიკურ დინეზე.

არმიელები, ეტყობა, არ მოელოდნენ ასეთ ტემპს დასაწყისშივე. სანამ მათი დაცვა თავის რიგებს ამზადებდა მოწინააღმდეგის შესახვედრად, ფორვარდების გასანაწილებლად და, საერთოდ, პოზიციური ბრძოლის საწარმოებლად, დინამოელებმა განავითარეს შტურმი, რომელმაც სრული ქაოსი შეიტანა ცსკა-ს უკანა ხაზებში. საკმარისია ითქვას, რომ პირველი სამი წუთის განმავლობაში სამი მომენტი შეიქმნა სტუმრების კართან და მათგან თითქოს არ იყო ხსნა.

ასეთი მძლავრი დაწოლის გაძლება დაცვისათვის, რაც არ უნდა მრავალრიცხოვანი იყოს მისი შემადგენლობა, ძალზე ძნელია და არმიელებმაც მხოლოდ 7 წუთს გაუძლეს მას. ერთ-ერთი მორიგი იერიში მე-7 წუთზე დამთავრდა იმით, რომ ბ. სიჭინავამ, როგორც ამას მცველისაგან მოითხოვს თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკა, ღრმა რეიდი შეასრულა მარჯვენა ფლანგზე და გამოზომილი, ზუსტი დარტყმით შორი მანძილიდან გაგზავნა ბურთი კარის შორეულ კუთხეში - 1:0.

გავიდა მცირე ხანი და მეტრეველის მიერ კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს მესხმა თავით შეუცვალა მიმართულება კარისაკენ. ბაუჟა ამ მომენტში უძლური იყო, ვინაიდან იგი კარიდან წინ იმყოფებოდა, მაგრამ ბურთი მოხვდა ძელს და შესტერნევმაც უკანასკნელ წამს მიუსწრო ბურთს.

თბილისელები განაგრძობდნენ შტურმს. საუცხოოდ თამაშობდა ორივე ნახევარმცველი - იამანიძეც და გ. სიჭინავაც. მოსკოველთა ყოველგვარი ცდა თუნდაც ოდნავ წინ, შუა მინდვრისკენ გადაეტანათ თამაში, მიეცათ შესვენების საშუალება დაცვისათვის, მთავრდებოდა წარუმატებლად. ამ ზონაში შეუსვენებლად მუშაობდა ნახევარდაცვის ხაზი, რომელიც ტონს აძლევდა მთელი გუნდის თამაშს. ყველაფერი დაგეგმილად ხდებოდა: დაცვა მოფიქრებულად უგზავნიდა ბურთს ნახევარდაცვას, აქედან იწყებოდა საიერიშო ოპერაციები, რომლის დასკვნით ფაზაში მონაწილეობდა 6-8 მოთამაშე.

სწორედ ამ სინქრონული მოქმედების შედეგად იქნა გატანილი მეორე გოლიც. მინდვრის სიღრმიდან გათამაშებული კომბინაცია მეტრეველმა კარის წინ გააგრძელა

და აქ ბარქაიამ შესტერნევთან შეტაკებისას ოსტატურად ითამაშა. მან ძალზე ძნელი მდგომარეობიდან გაიტანა მეორე გოლი - 2:0.

ასევე სწრაფ ტემპში შესრულდა შეტევა 24-ე წუთზე. ეს იყო ბურთის ლაკონიური გათამაშება: მესხი-აფშევი-ბარქაია, რომელიც კიდევ ერთხელ დამთავრდა ცსკა-ს კარის აღებით - 3:0.

მეორე ტაიმში დინამოელებმა საგრძნობლად დაუკლეს ტემპს. რა თქმა უნდა, პირველ ნახევართან შედარებით მეორე 45 წუთი შეუდარებლად უფერული და უინტერესო ჩანდა, მაგრამ არ შეიძლება გუნდს მოსთხოვო ისეთი ტემპერამენტით თამაში, რომელიც მას დასაწყისში ჰქონდა, მითუმეტეს, როცა გამარჯვება თითქმის უკვე გარანტირებული იყო. პირველმა ტაიმმა დიდი ენერგია და ძალები შეიწირა, ამიტომ შესვენების შემდეგ საჭირო იყო მიღწეულის შენარჩუნება და იგი შენარჩუნებულ იქნა კიდეც. მართალია, მოსკოველებს მიეცათ ერთგვარი აქტივიზაციის საშუალება, მაგრამ დინამოელთა დაცვა და მეკარე ლეჟავა საიმედოდ იცავდნენ კარის უხიფათობას. მაქსიმუმი, რაც შეძლეს არმიელთა ფორვარდებმა, ეს იყო რამდენიმე დარტყმა შორი მანძილიდან, რომელთა მოგერიება ლეჟავას არ გასჭირვებია.

გუშინდელი მატჩი თბილისის “დინამოს” პოტენციურ შესაძლებლობათა კიდევ ერთი დადასტურება იყო.

რ. ქორიძე.
“ლელო”, 2 აპრილი, 1964 წ.